ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.12.2016

საჩივრის რეგისტრაციის №104/16

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ვ. მ. -ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. მ. -სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 21 დეკემბერს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მოქალაქე მ. გ. -მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. მ. -ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომჩივანის განმარტებით, მისი უძრავი ქონება, რომელზეც ირიცხებოდა საგადასახადო დავალიანება, აუქციონის წესით გასხვისებულ იქნა ნ. მ. -ზე. ადვოკატი ვ. მ. და ადვოკატი ლ. ა. თავიდან იყვნენ მისი მოწინააღმდეგე მხარის, ქონების მყიდველის - ნ. მ. -ის ადვოკატები, შემდეგ კი გახდნენ მისი ადვოკატები. მან სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც დაკმაყოფილდა და მოხდა საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 18 აგვისტოს სასამართლოს განჩინებით მას დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟი 290 (ორას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც სარჩელის აღძვრის მომენტისათვის მან გადასცა ვ. მ. -ს. ადვოკატმა, საქმის დასრულების შემდეგ მას მოსთხოვა მიეტანა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება სარჩელის

განუხილველად დატოვებისა და ბაჟის დაბრუნების შესახებ, რის საფუძველზეც 2016 წლის 28 სექტემბერს სახელმწიფო ხაზინიდან გამოიტანა სახელმწიფო ბაჟი, თუმცა იგი მომჩივანისათვის არ დაუბრუნებია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც მან ადვოკატს მოსთხოვა ხაზინიდან აღებული ბაჟის უკან დაბრუნება, ვ. მ. -მ მას დაუწყო გინება და მუქარა, ამასთან, უთხრა, რომ აღნიშნულ თანხას არასოდეს დაუბრუნებდა, რადგან იგი საგადასახადოს ჰქონდა წაღებული.

1.5 2017 წლის 26 იანვრის ეთიკის კომისიის სსხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მას ადვოკატმა ვ. მ.-მ უწოდა ნაბიჭვარი და სხვა შეურაცხმყოფელი სიტყვები, რისთვისაც ადვოკატს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. საჩივრის ავტორის მოწმის პოზიცია:

2.1 საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიის სხდომაზე წარმოდგენილმა მოწმემ ლ. ა. -მ საპროცესო და განხილვის კოლეგიას განუმარტა, რომ ის და ადვოკატი ვ. მ. იყვნენ მ. გ. -ის ადვოკატები. ვ. მ. ასრულებდა ტექნიკურ სამუშაოებს, რაც შეეხება, საქმის სამართლებრივ გაძღოლას, ამის მოვალეობა მას ეკისრებოდა.

2.2 მოწმის განმარტებით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსარჩელე მ. გ.-ის მიერ შეტანილ იქნა ადმინისტრაციული საჩივარი. საქმეზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო სასამართლომ დაადგინა ხარვეზი. საჩივრის ავტორის მოწმის მითითებით, მან მოსარჩელე მ. გ. -ს განუმარტა, რომ ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში სასამართლო მის საქმეს წარმოებაში არ მიიღებდა.

2.3 მოწმის განცხადებით, მან და ვ. მ. -მ თავიდანვე იცოდნენ, რომ მ. გ. თავისი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქმის დაწყებისას მათ ჰონორარს ვერ გადაუხდიდა. ადვოკატები გარკვეულ თანხას კლიენტისაგან ელოდნენ საქმის დასრულების შემდეგ.

2.4 მოწმის განმარტებით, ვ. მ. -ისა და მ. გ. -სგან მან შეიტყო, რომ მიუხედავად კლიენტთან მათი შეთანხმებისა, საადვოკატო მომსახურეობის გადასახადი საქმის წარმოების დასრულების შემდეგ მიეღოთ, ვ. მ. პერიოდულად უკავშირდებოდა კლიენტს და ართმევდა ყოველ ჯერზე შესასრულებელი სამუშაოსათვის საჭირო თანხებს (მაგ. საწვავის ფულს).

2.5 მოწმის განმარტებით, იგი უკავშირდებოდა მ. გ.-ს და აფრთხილებდა, რომ ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში მის საჩივარს სასამართლო წარმოებაში არ მიიღებდა. ხარვეზის შევსებისათვის სასამართლოს მიერ მიცემული ვადის ბოლო დღეს ლ. ა. -ს დაუკავშირდა მ. გ. , უთხრა, რომ სახელმწიფო ბაჟის თანხა ძმამ უკვე მისცა და სთხოვა მის შეტანაში დახმარება. მოწმე ლ. ა. განმარტავს, რომ რადგან თავად სამსახურის გამო ვერ შეძლებდა სასამართლოში ბაჟის შეტანას, შესთავაზა საჩივრის ავტორს თანხა მიეცა ვ. მ. -სთვის, რომელიც მას დადგენილი წესით გამოიყენებდა ხარვეზის შესავსებად და შეიტანდა სასამართლოში.

2.6 მოწმე ლ. ა. -ის განცხადებით, იგი მ. გ. -ს გაჰყვა ვ. მ. -სთან შესახვედრად. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა თანხა 300 (სამასი) ლარი, ლ. ა. -მ კი დააკვალიანა ვ. მ. თუ როგორ, რა ფორმით, შეეტანა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება სასამართლოში. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულთან მიმართებით რაიმე პრობლემა წარმოიშობოდა, მოწმემ ვ. მ. -ს სთხოვა მასთან დაკავშირება.

2.7 მოწმის განმარტებით, იგი მეორე დღეს დაუკავშირდა ვ. მ. -ს, რომლისგანაც შეიტყო, რომ განცხადების შეტანასთან მიმართებით არანაირი პრობლემა არ წარმოქმნილა და იგი სასამართლოს კანცელარიისათვის დადგენილი წესით ჩაბარებული იყო.

2.8 მოწმის განცხადებით, იგი პრობლემების გამო ვერ ახორციელებდა მ. გ. -სთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას. ამ ხნის განმავლობაში კი, როგორც ეს მხარეებისგან შეიტყო, საჩივარი გამოიხმეს სასამართლოდან, შესაბამისად სასამართლომ ბაჟის თანხა მხარეებს უკან დაუბრუნა. მოწმეს საჩივრის ავტორისაგან აქვს ინფორმაცია, რომ აღნიშნული თანხა აიღო ადვოკატმა ვ. მ. -მ და მას ეს თანხა მ. გ. -სთვის არ დაუბრუნებია.

2.9 მოწმის განმარტებით, ნ. მ. -ს აღნიშნულ საქმესთან კავშირი არ აქვს. მისი მითითებით, მ. -მ შეიძინა უფლებრივად დატვირთული ნივთი და იგი სწორედ ამ კუთხით იყო აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული. რაც შეეხება უშუალოდ საქმისწარმოებას, მხარეს წარმოადგენდა მ. გ. და არა ნ. მ. .

2.10 მოწმის განმარტებით, მან მ. გ. -ისგან იცოდა, რომ საჩივრის ავტორმა ფული გადასცა ვ. მ. -ს, თუმცა კი აღნიშნულს თვითონ არ დასწრებია.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა 2016 წლის 13 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ 2014 წლის 05 მაისს ნ. მ. მივიდა მის ოფისში და სთხოვა დახმარება მ. გ. -ისგან შეძენილი უფლებრივად დატვირთული ბინის გათავისუფლებაში, რომელზეც მიმდინარეობდა იძულებითი რეალიზაცია აუქციონის გზით.

3.2 ადვოკატის განმარტებით, რადგან მ. გ. -ს ფინანსურად არ გააჩნდა სასამართლოში საქმის წარმოების სახსრები, ნ. მ. -მ იკისრა ვალდებულება ხარჯები რეალურად თავად გაეღო და სასამართლოში სარჩელი შესულიყო მ. გ. -ის სახელით, რისთვისაც მან მ. გ. -ისგან მიიღო მინდობილობა.

3.3 ადვოკატის განმარტებით, სადაო თანხა შეადგენდა 43 000 (ორმოცდასამი ათასი) ლარს. აღნიშული თანხის ნაწილი ჩამოაწერინა შემოსავლების სამსახურს და დარჩა 9 000 (ცხრა ათასი) ლარი, ამ თანხიდან გამომდინარე სასამართლოში ადმინისტრაციული წარმოებისათვის საჭირო სახელმწიფო ბაჟის თანხამ შეადგინა 290 (ორას ოთხმოცდაათი) ლარი, რომელიც ნ. მ. -მ გადაიხადა.

3.4 ადვოკატის განცხადებით, ჰონორარის სახით საჩივრის ავტორს მისთვის უნდა გადაეცა სადავო თანხის 15% სასამართლოში საქმისწარმოების დასრულების შემდეგ. თუმცა მ. გ. -მ დაინახა რა სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივა, იმისათვის, რათა მისთვის მომსახურების თანხა არ გადაეხადა, მისცა აცილება.

3.5 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის ბოლოს მ. გ. მას დაუკავშირდა, განუმარტა, რომ სასამართლო უბრუნებდა სახელმწიფო ბაჟის თანხას და სთხოვა ამ თანხის გამოტანაში დახმარება, რაზეც ადვოკატმა უარი განუცხადა, ამასთან, დაუბრუნა მას ყველა დოკუმენტი, მათ შორის საადვოკატო მომსახურეობის ხელშეკრულება და მინდობილობა.

3.6 ადვოკატის განცხადებით, რამდენიმე კვირის შემდეგ მას კვლავ დაუკავშირდა მ. გ. , უთხრა, რომ ბენზინის ფულიც კი არ ჰქონდა და სთხოვა თანხის დაბრუნებაში დახმარება, რაზეც ადვოკატი დასთანხმდა. საჩივრის ავტორმა მასთან მიიტანა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილება და მინდობილობა. ადვოკატი განმარტავს, რომ მან მ. გ. -ს ჰკითხა, თუ რატომ ითხოვდა სახელმწიფო ბაჟის მისთვის დაბრუნებას მაშინ, როცა თანხა თავის დროზე მ. -მ გადაიხადა. მ. გ. -მ განუცხადა, რომ შეეძლო 50 (ორმოცდაათი) ლარი თავად დაეტოვებინა, დანარჩენი კი მისთვის დაებრუნებინა. ადვოკატის განმარტებით, ამის გამო მან საჩივრის ავტორს უწოდა მაგარი ნაბიჭვარი.

3.7 ადვოკატის განცხადებით, იგი დაუკავშირდა ნ. მ. -ს და აუხსნა სიტუაცია. მან თანხის მისთვის გადაცემა მოითხოვა. ადვოკატის განმარტებით, იგი მივიდა ნ. მ. -სთან სახლში და ოჯახის წევრების თანდასწრებით გადასცა აღნიშნული თანხა. ასევე დაარეკინა მ. გ. -სთან, რომელსაც ნ. მ. -მ განუცხადა, რომ ვ. მ. -მ მას გადასცა 290 (ორას ოთხმოცდაათი) ლარი.

3.8 ადვოკატის განმარტებით, ამ დღეს, როდესაც ის ნ. მ. -ისაგან ბრუნდებოდა, დაურეკა მ. გ. -მ და უსაყვედურა თანხის ნ. მ. -სთვის გადაცემის გამო და შეაგინა, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ როცა ნახავდა სახეს გაუნგრევდა და რადგანაც ავტომობილს მართავდა ტელეფონი გათიშა. ასევე, ის აუცილებლად აუსრულებს მ. გ. -ს იმას რასაც შეპირდა და თუ ისინი ეთიკის კომისიაში ერთმანეთს შეხვდებიან, კომისიამ უნდა უზრუნველყოს მ. გ. -ის უსაფრთხოება.

3.9 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა გაიგო, რომ ნ. მ. გარდაიცვალა და სწორედ ამიტომ შემოიტანა საჩივარი ეთიკის კომისიაში.

4. ადვოკატის მოწმის პოზიცია:

4.1 ადვოკატმა ვ. მ. -მ 2017 წლის 01 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მოწმის ზ. მ. -ის პოზიცია, სადაც ის განმარტავს, რომ 2016 წლის შემოდგომით მამამისს ნ. მ. -ს დაურეკა მათმა ოჯახის ადვოკატმა ვ. მ. -მ და ჰკითხა ვის მიერ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა, მის მიერ თუ მ. გ. -ის მიერ. მამამისმა ადვოკატს განუმარტა, რომ თანხა თავად გადასცა და მისთვის უნდა დაებრუნებინა.

4.2 მოწმის განმარტებით, ამ ფაქტიდან ერთი კვირის შემდეგ ადვოკატმა სასამართლოს მიერ დაბრუნებული თანხა, რომელიც დაახლოებით 300 (სამას) ლარამდე იყო გადასცა მამამისს, რაც იცის მისი ოჯახის ყველა წევრმა. მამამისს ადვოკატ ვ. მ. -ის მიმართ უკმაყოფილება არასოდეს გამოუთქვამს და მათი ოჯახი ადვოკატთან სამართლებრივ ურთიერთობას დღესაც აგრძელებს.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2017 წლის 03 აპრილს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. მ. -ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ ვ. მ. -ის მიერ ადვოკატთა ასოციაციაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორის მისამართით მითითებული სიტყვები: ,,ნაბიჭვარი'', ,,სახეს გავუნგრევ'', ,,უზრუნველყავით მისი უსაფრთხოება" შეურაცხმყოფელია, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატის მიერ სახელმწიფო ბაჟის თანხის მისთვის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილების შესაძლო დარღვევის თაობაზე და

მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ნორმის დარღვევა არ დასტურდება.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

6.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 მ. გ. -სა და ადვოკატ ვ. მ. -ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2014 წელს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მ. გ. -ის 2016 წლის 21 დეკემბრის საჩივარი;

ადვოკატ ვ. მ. -ის 2016 წლის 13 დეკემბრის განმარტება;

6.1.2 ადვოკატი ვ. მ. ადვოკატ ლ. ა. -სთან ერთად მომსახურებას უწევდა მ. გ. -ს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში და შემდეგ, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მ. გ. -ის 2016 წლის 21 დეკემბრის საჩივარი;

ადვოკატ ვ. მ. -ის 2016 წლის 13 დეკემბრის განმარტება;

მოწმე ლ. ა. -ის ზეპირი ახსნა-განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2017 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმი;

განხილვის კოლეგიის 2017 წლის 06 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

6.1.3 ადვოკატმა 2016 წლის 13 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი მოიხსენია შემდეგი ფრაზებით: ,,ნაბიჭვარი'', ,,სახეს გავუნგრევ'', ,,უზრუნველყავით მისი უსაფრთხოება".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ ვ. მ. -ის 2016 წლის 13 დეკემბრის ახსნა-განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2017 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმი.

6.1.4 სატელეფონო საუბრისას ადვოკატმა კლიენტს უთხრა ფრაზა: ,,სადაც შეგხვდები თავს გაგინგრევ".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2017 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმი.

7. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. მ. -ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. მ. -ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

8.1.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.''

8.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

8.2 ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატის ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. აღნიშნული პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს.

8.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია არა მარტო სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს სცეს პატივი, არამედ იგივე ვალდებულება აქვს ადვოკატს საქმის განმხილველ სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების მიმართაც. ეთიკის კომისიამ 2012 წლის 03 მარტის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №025/12/ დაადგინა: „ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი..“

8.4 დისციპლინური წარმოება სპეციფიურია იმ მხრივ, რომ წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედების მიმართ, ამ დავაში კლიენტი ხდება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარე, შესაბამისად საქმის განხილვისას ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ემოციური ფონი მაღალია. ადვოკატს მისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე ევალება პროფესიის სახე ღირსეულად წარმოაჩინოს ყველა ვითარებაში და საკუთარი ინტერესები დაიცვას მოწინააღმდეგე მხარის უფლებების შელახვის გარეშე. ადვოკატს მოქალაქესთან შედარებით მეტი თმენის ვალდებულება აქვს, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის მოქმედებაზე რეაგირების ისეთი ფორმების შერჩევის უზრუნველყოფას, რომლითაც არ დაირღვევა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესები.

8.5 კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ მოქალაქე ნ. მ. -მ შეიძინა უფლებრივად დატვირთული ბინა მოქალაქე მ. გ. -სგან. აღნიშნულ საქმეზე მ. გ. -მ ჯერ ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს და შემდეგ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით. მის ინტერესებს ფინანსთა სამინისტროში და სასამართლოში წარმოადგენდა ადვოკატი ვ. მ. . მ. გ. -ის ადმინისტრაციული საჩივარი მხარის მოთხოვნით დარჩა განუხილველი და სახელმწიფო ბაჟის თანხა სახელმწიფო ხაზინიდან გამოიტანა ადვოკატმა ვ. მ. -მ, რომელიც მ. გ. -სთვის არ დაუბრუნებია. კლიენტმა ეთიკის კომისიას პრეტენზიით მომართა ადვოკატის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. კლიენტის საჩივარზე ადვოკატმა ვ. მ. -მ ეთიკის კომისიაში 2016 წლის 13 დეკემბერს წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი - ყოფილი კლიენტი მოიხსენია შემდეგი სიტყვებით: ,,ნაბიჭვარი'', ამასთან აღნიშნა, რომ ,,სახეს გაუნგრევდა, სადაც შეხვდებოდა'' და კოლეგიას სთხოვა მ. გ. -ის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის ამ ფორმით მოხსენიება, სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ზღვარს, ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ მხარის, ყოფილი კლიენტის უფლებების შელახვას წარმოადგენს.

8.6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისცილინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

8.7 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის სახდელის - გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით, 34–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N104/16 ადვოკატ ვ. მ. -ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. ადვოკატ ვ. მ. -ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინი მიქიაშვილი/